



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №40

აბაშა, 2019 წლის 3 ივნისი

აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე მოწონებულ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების შესახებ (პროექტები ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად, დანართი: 1 ფურცელი);
2. განკარგულება თანდართული დოკუმენტაციით წარდგენილ იქნეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში აბაშის მუნიციპალიტეტის მერის მიერ;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247);
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი:

გ. ხომტარია